სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	ქუთაისის „აია“ - ბათუმის „ბათუმი“		
გუნდი	ქუთაისის „აია“	შეჯიბრი	ჭაბუკთა „ა“ ლიგა
მატჩის თარიღი	28/01/2024	მატჩის ადგილი	ქუთაისი, აია არენა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი	მწვრთნელი	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	გიორგი ნემსაძე		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მატჩის მსაჯი, საბა მახარაძე	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - 8.18 „არამართებული ქცევა“ გულისხმობს მომხდარ ნებისმიერ ქცევას, განცხადებას და/ან ქმედებას სათამაშო სივრცეში ან მის მიღმა, რომელიმე კონკრეტულ თამაშთან კავშირში ან კავშირის გარეშე, რომელიც: არასპორტულია, თაღლითურია, არღვევს არსებულ წესებს, უდისციპლინობის გამოვლინებაა და/ან ზიანს აყენებს რაგბს, სრკ-ს და მის რომელიმე სტრუქტურას, სრკ-ს წევრ სუბიექტებს და სრკ-ს სტრუქტურების საქმიანობაში ჩართული ნებისმიერი პირების და/ან რაგბის კომერციული პარტნიორების და/ან მატჩის ოფიციალურ პირთა და/ან სადისციპლინო პერსონალის რეპუტაციას.	☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	30/01/2024	**განხილვის ადგილი**	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია		
დამრღვევის დასწრება	☒ **კი (დისტანციური)** ☐ **არა**	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☒ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის საითინგი		

განხილვაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. 28/01/2024 გაიმართა ჭაბუკთა „ა“ ლიგის XII ტურის მატჩი ქუთაისის „აია“-სა და ბათუმის „ბათუმს“ შორის.
2. მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის საითინგი;
3. მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის სატელეფონო გამოკითხის აუდიოჩანაწერი;
4. მატჩის კიდის მსაჯის, დავით ჟალტუნოვის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
5. ქუთაისის „აია“-ს ჭაბუკთა „ა“ ლიგის მწვრთნელის, გიორგი ნემსაძის წერილი სადისციპლინო კომისიას;
6. ქუთაისის „აია“-ს ჭაბუკთა „ა“ ლიგის მწვრთნელის, გიორგი ნემსაძის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

1. ქუთაისის „აია“-ს ჭაბუკთა „ა“ ლიგის მწვრთნელის, გიორგი ნემსაძის წერილი სადისციპლინო კომისიას (ციტირება) : მოგახსენებთ, რომ 28 იანვარს ქ. ქუთაისში ჩატარდა ჭაბუკთა ა ლიგის XII ტურის თამაში აიასა და ბათუმს შორის. მთავარმა მსაჯმა საბა მახარაძემ მეორე ტაიმის დასაწყისში მომცა წითელი ბარათი და მომიწია მოედნის დატოვება. პირველ რიგში, ჩემი მხრიდან ვაღიარებ, რომ მოვახდინე აპელირება მსაჯის მიმართ, როდესაც მან დანიშნა არასწორი ჯარიმის წერტილი. გვერდით მსაჯთან მქონდა კომუნიკაცია შეცდომებთან დაკავშირებით, მაგრამ მას არ გამოუთქვამს ამასთან დაკავშირებით უკმაყოფილება. მე ვთვლი, რომ ეს იყო ჩვეულებრივი სამუშაო პროცესი. მთავარმა მსაჯმა მომიწოდა აპელირების შეწყვეტისკენ და მეც დავემორჩილე მსაჯს. მეორე

ტაიმის დასაწყისში შევამჩნიე უხეში დარღვევა შერკინების დროს, რაზეც ვთხოვე კაპიტანს გაემახვილებინა მსაჯისთვის ყურადღება. ამ დროს დავტოვე ტექნიკური ზონა, მაგრამ არანაირი მსაჯის მიმართ რეპლიკას არ ქონია ადგილი. მიუხედავად ამისა, მსაჯმა ეგრევე მომცა წითელი ბარათი. მე ვთვლი, რომ ეს იყო სრულიად გადამეტებული მსაჯის გადაწყვეტილება. ასევე მინდა ავღნიშნო, რომ ამ თამაშს ქონდა ძალიან დიდი მნიშვნელობა სატურნირო ცხრილიდან გამომდინარე. თამაში პირველივე წუთიდან იყო ძალიან დაძაბული და ეს დაძაბულობა იგრძნობოდა ყველა მხრიდან. ჩემი სუბიექტური აზრით, მსაჯმა მთელი თამაშის განმავლობაში დაუშვა უხეში შეცდომები, რომლებმაც იქონია გავლენა შედეგზე. შესაბამისი ვიდეო მასალა გადაგზავნილია მსაჯთა კორპუსში.

2. ქუთაისის „აია“-ს ჭაბუკთა „ა“ ლიგის მწვრთნელის, გიორგი ნემსაძის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი : გიორგი ნემსაძემ გამოკითხვისას აღიარა, რომ თამაშის მეორე ნახევარში, თამაშზე დამსწრე მაყურებლების ხმაურის გამო, მან დატოვა ტექნიკური ზონა, 1-2 ნაბიჯით გადაკვეთა მოედნის აუტის ხაზი და მითითებები მისცა თავისი გუნდის კაპიტანს.
3. გიორგი ნემსაძემ პრეტენზია გამოთქვა ფაქტზე, რომ მოწინააღმდეგე გუნდის სტაფის ანალოგიურ საქციელზე მსაჯს არ ჰქონდა იგივე რეაქცია როგორიც ჰქონდა მის ქმედებაზე, რაც მისი აზრით ორმაგი სტანდარტების და არათანმიმდევრული რეაგირების გამოხატულებაა.

ფაქტობრივი მოცემულობების განხილვა და მხადაჭერა

1. მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის საითინგი (ციტირება) – „თამაშის 3 წუთზე „აიას“ მწვრთნელი დავით ნემსაძე ყვირილით, ხელების გაშლით და აგრესიული ტონით აპელირებდა, რომ ჯარიმა უნდა დანიშნულიყო რამდენიმე მეტრით უკან. მივედი მასთან და გავაფრთხილე, რომ ასეთ პირობებში ვერ გაგრძელდებოდა თამაში და თუ არ მოიქცეოდა თამაშის შესაბამისად და არ გააკონტროლებდა ემოციებს, მომიწევდა უფრო მკაცრი სანქციების მიღება, ამ საუბარშივე იჩენდა უპატივცემულობას და აგრძელებდა პოლემიკას ემოციური ტონით. თამაში მიმდინარეობდა დაძაბულ გარემოში, როგორც მოედანზე, ასევე მოედნის მიღმა და აპელირება იყო სისტემატიური ხასიათის. მეორე ტაიმის დასაწყისში დავით ნემსაძემ დატოვა თავისი ტექნიკური ზონა, შემოვიდა მოედნის არეალში და მივიდა თავის კაპიტანთან, სადაც ხმამაღლა ეუბნებოდა, რომ ჩემთვის ეთქვა რომელიღაც მომენტის შესახებ. თამაში არ ყოფილა შეჩერებული და რადგან მოედანზე შემოსვლა არ იყო მიზანშეწონილი, მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ ეს ყველაფერი იყო თამაშისთვის შეუსაბამო და ვუჩვენე მას წითელი ბარათი“.
2. მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი - საბა მახარაძემ დამატებით დააზუსტა რომ :

   ა) საითინგში ტექნიკური შეცდომის გამო გიორგი ნემსაძის მაგივრად აღნიშნულია მისი ძმა დავით ნემსაძე, რაზეც ბოდიში მოიხადა.

ბ) თამაშის პირველ ნახევარში მან ორივე გუნდის წარმოდგენლები გააფრთხილა აპელირების გამო. თუმცა გიორგი ნემსაძემ თამამაშის მეორე ნახევარში მიმდინარე თამაშის დროს დატოვა ტექნიკური ზონა, შევიდა მოედანზე და მიმართა თავისი გუნდის კაპიტანს „ამას (მსაჯს) უთხარი ყურადღება მიაქციოს შერკინებაში მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშეების საქციელს“. სწორედ ასეთი სახის მიმართვა იყო მისთვის მიუღებელი რის გამოც მან წითელი ბარათი უჩვენა გიორგი ნემსაძეს.

დ) გიორგი ნემსაძის განცხადებაში გამოთქმული პრეტენზიიდან გამომდინარე კითხვაზე, თუ რატომ არ ჰქონდა მას ანალოგიური რეაქცია (წითელი ბარათი) ბათუმის „ბათუმი“-ს წარმომადგენელთა მიმართ, საბა მახარაძემ განმარტა, რომ ბათუმის „ბათუმი“-ს წარმომადგენელბის მხრიდან თამაშის პირველ ნახევარში მიღებული შენიშვნის შემდეგ, მას არ შეუმჩნევია რაიმე სახის დისციპლინარული დარღვევა, ხოლო გიორგი ნემსაძის მხრიდან, გაფრთხილების მიუხედავად თამაშის მეორე ნახევარში კვლავ ჰქონდა ზემოაღნიშნულ დისციპლინარულ დარღვევას ადგილი.

3. მატჩის კიდის მსაჯის, დავით ჟალტუნოვის გამოკითხვა - დავით ჯალტუნოვმა განაცხადა, რომ თამაშის განმავლობაში ორივე გუნდის წარმომადგენლების მხრიდან იყო აპელირების ფაქტები, რაზეც მატჩის მსაჯმა ორივე მხარე გააფრთხილა. ხოლო თამაშის მეორე ნახევარში, მატჩის მსაჯმა საბა მახარაძემ წითელი ბარათი უჩვენა ქუთაისის „აია“-ს მწვრთნელს გიორგი ნემსაძეს, ტექნიკური ზონის დატოვების და მიმდინარე თამაშის დროს მოედანზე შესვლის გამო.

სადისციპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების განხილვის შემდეგ, იმსჯელა სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების შესახებ და მტკიცებულებების სტანდარტის ალტერნატივათა ბალანსის პრინციპზე დაყრდნობით (სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 10.4) მხარი დაუჭირა:

1. მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის საითინგში სავარაუდო დამრღვევად დაფიქსირებულია დავით ნემსაძე როგორც ქუთაისის „აია“-ს ჭაბუკთა „ა“ ლიგის გუნდის მწვრთნელი. ხოლო სადისციპლინო საქმის მსველობის დროს გაირკვა, რომ მსაჯის საითინგში აღნიშნული პიროვნება არის ქუთაისის „აია“-ს ჭაბუკთა „ა“ ლიგის გუნდის მწვრთნელი, გიორგი ნემსაძე.
2. გიორგი ნემსაძის ქმედება ზემოაღნიშნული მატჩის დროს იყო სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 8.18 პუნქტში(**„არამართებული ქცევა“ გულისხმობს მომხდარ ნებისმიერ ქცევას, განცხადებას და/ან ქმედებას სათამაშო სივრცეში ან მის მიღმა, რომელიმე კონკრეტულ თამაშთან კავშირში ან კავშირის გარეშე, რომელიც: არასპორტულია, თაღლითურია, არღვევს არსებულ წესებს, უდისციპლინობის გამოვლინებაა და/ან ზიანს აყენებს რაგბს, სრკ-ს და მის რომელიმე სტრუქტურას, სრკ-ს წევრ სუბიექტებს და სრკ-ს სტრუქტურების საქმიანობაში ჩართული ნებისმიერი პირების და/ან რაგბის კომერციული პარტნიორების და/ან მატჩის ოფიციალურ პირთა და/ან სადისციპლინო პერსონალის რეპუტაციას.**) აღნიშნულ დარღვევათა შესაბამისი. კერძოდ, გიორგი ნემსაძის ქცევა შეფასდა როგორც **არასპორტული და არსებული წესების დარღვევა.**

3. მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის განმარტებას (იხ. ფაქტობრივი მოცემულობების განხილვა და მსჯელობა მე-4 პუნქტის დ) ქვეპუნქტი) გიორგი ნემსაძის მიერ გამოთქმული პრეტენზიის შესახებ.

სადისციპლინო კომისიის მიერ მხარდაჭერილ ფაქტობრივ მოცემულობებზე დაყრდნობით, სადისციპლინო კომისიამ მიიღო შემდეგი

გადაწყვეტილება

1. ქუთაისის „აია“-ს ჭაბუკთა „ა“ ლიგის გუნდის მწვრთნელს გიორგი ნემსაძეს მიეცეს **პირობითი** დისკვალიფიკაცია 5(ხუთი) სათამაშო კვირით. რაც გულისხმობს, რომ გიორგი ნემსაძეს ეკრძალება სრკ-ს მიერ ორგანიზებული ნებისმიერი დონის თამაშის დღეს, **სათამაშო სივრცეში*** ყოფნა.
2. **პირობითი** დისკვალიფიკაციის პერიოდი განისაზღვროს 02/02/2024-დან 11/03/2024-მდე.
3. **პირობითი** დისკვალიფიკაციის პერიოდში პროვნების მხრიდან ანალოგიური დარღვევის შემთხვევაში, განმეორებითი დარღვევისთვის დაკისრებულ სანქციას ავტომატურად დაემატება პირობითი დისკვალიფიკაციით გათვალისწინებული კვირები.

* სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია: ტერმინთა განმარტება - 2.12. **სათამაშო სივრცე** - არენა/სტადიონი, მის ტერიტორიაზე არსებული შენობა ნაგებობები და სათამაშო მოედნები, სადაც იმართება სრკ-ს მიერ ორგანიზებული ნებისმიერი დონის შეჯიბრება.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	02/02/2024

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** [საპელაციო-კომისიის-დებულება.pdf (rugby.ge)]